ხელშეკრულება №100

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური **15 ივნისი 2023 წელი**

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის დავით შარაშიძის სახით და მეორე **მხრივ, იმ ბუხუტი ღუტიძე (საინ.კოდ 46001003213)**, (შემდგომში „მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 აპრილის N762 განკარგულების შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი - 100%
(საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულება)

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფლებისათვის წყლის სისტემისა და შესაღობი მასალების შეძენა ადგილზე მიტანით:

№	დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ	მიწოდების ადგილი	CPV
1	პოლიეთილენის მილი დ=25 მმ 12 ატმ, შავი ფერის	გ.მ.	2000	1.1	2200	განთიადი	44100000
2	პოლიეთილენის მილი დ=20 მმ 12 ატმ, შავი ფერის	გ.მ.	2500	0.8	2000	შუასურები	44100000
3	პოლიეთილენის წყლის ავზი 5ტ	ცალი	1	1800	1800	განთიადი	44611500
4	მოთუთიებული მავთულბადე, სიმაღლე - 1.50 მ, მავთულის სისქე - 3 მმ. უჯრა 50 X 50 მმ	გ.მ.	200	20	4000	მამულარი	44313100

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 10 000 (ათიათასი) **ლარი.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **საქონლის** მიწოდება განხორციელდება: ჩოხატაური, სოფ. განთიადი, შუასურები, მამულარი.

6.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2023 წლის 15 ივნისიდან 2023 წლის 15 ივლისის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2023 წლის 15 ივნისიდან 2023 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 15 ივნისიდან 2023 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
საინდ/კოდი 242008705
მის: წერეთლის ქ. N2
ტელ: 577952055
სახელმწიფო ხაზინა

chokhatauri municipality
Digitally signed by chokhatauri municipality
Date: 2023.06.15 15:39:02 +04'00'

მუნიციპალიტეტის მერი:
დავით შარაშიძე

Bukhuti Gutidze
Digitally signed by Bukhuti Gutidze
Date: 2023.06.15 15:41:16 +04'00'

„მიმწოდებელი“
ი.მ. „ბუხუტი ღუტიძე“
საინ/კოდ 46001003213
ს/ს ლიბერთი ბანკი
ანგ. №GE38LB0112162041441000
ტელ: 593445577

კომპანია: ინდ/მეწარმე ბუხუტი ღუტიძე

დანართი №

ინვოისი 4

15 ივნისი 2023 წელი

გამყიდველი

მისამართი: ჩოხატაური კოსტავას 3

ტელეფონი: TEL: 593-44-55-77

საიდ. კოდი: 46001003213

ბანკი: ს.ს".ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: GE38LB0112162041441000

ანგ. ნომერი:

მისამართი:

მყიდველი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

მერია

ს/ნ 242008705

ჩოხატაური

საქონლის დასახელება	კვმ	ერთეულის ღირებულებადდგ გარეშე	სულ დღგ ჩათვლით
პოლიეთილენის მილი დ=25მმ 12 ატმ. შავი ფერის	2000	1.10 ლარი	2,200.0 ლარი
პოლიეთილენის მილი დ=20მმ 12 ატმ. შავი ფერის	2500	0.80 ლარი	2,000 ლარი
პოლიეთილენის წყლის ავზი	1	1,800.0 ლარი	1,800 ლარი
მოთუთიებული მავთულბადე, სიმაღლე 1.50 სმ მავთულის სისქე - 3 მმ . უჯრა 50X50 მმ	200	20.0 ლარი	4,000 ლარი
		სულ ჯამი	10000.00

ი/მ ბუხუტი ღუტიძე

წერილის ნომერი:**03-462315948**
თარიღი: **08/06/2023**

ადრესატი:

დავით შარაშიძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-მუნიციპალიტეტის მერი

ბატონო დავით,

სოფლის პროგრამის ფარგლებში შესაძენია მასალები. გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს შესყიდვის განხორციელება დანართის შესაბამისად.

მერაბ ბერძენიშვილი

არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური-ინფრასტრუქტურის განყოფილება-ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

სოფელის მიერ 2023წელს მიღებული გადაწყვეტილებები (საქონლის შესყიდვა)					სავარაუდო ღირებულება
ჩოხატაური	1	ახალშენი	1000	ჩოგბურთის მაგიდა (ტენისის მაგიდა დახურული დარბაზისთვის - კომპლექტი)	1000
ჩოხატაური	2	მამულარი	4000	სასაფლაოს შეღობვა(მასალების შესყიდვა 200მ-ის)	4000
ჩოხატაური	3	განთიადი	4000	წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის მასალების შეყიდვა: პოლიეთილენის მილი დ=25 მმ 12 ატმ, შავი ფერის 2000 მ. პოლიეთილენის წყლის ავზი ორშრიანი ჰორიზონტალური 5 ტონიანი- 1 ცალი.	4000
ჩოხატაური	4	შუასურები	2000	წყლის სიტემის რეაბილიტაციისათვის მასალების შეძენა: პოლიეთილენის მილი დ=20 მმ 12 ატმ, შავი ფერის - 2500 გრძმ.	2000
ჯამი					11000